ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 106

"15" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების (საქმე №3ბ/260-13) აღსრულების შესახებ და ზურაბ ნონიაშვილთან გასაფორმებელი უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული დანართის ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" პირველი მუხლის მე-3 , მე-5 პუნქტებისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 16 მარტის №10.34.239 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქუჩასა და ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ (09/064) არსებული 1050 კვ.მ. (ს/კ №01.14.05.009.064) და ქ. თბილისი, ო. ფხაკაძის ქ. №38-ის მიმდებარედ (08/139) არსებულ 1062 კვ.მ. ს/კ №01.14.05.008.139) მიწის ნაკვეთების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების (საქმე #3ბ/260-13) აღსრულების მიზნით, #502 საბინაო კოოპერატივის წევრისათვის - ზურაბ ნონიაშვილისთვის (პ/ნ №01009008215) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, (სიმბოლურ ფასად 1 ერთ ლარად) გადაცემაზე, იმ პირობით, რომ ზურაბ ნონიაშვილის მიერ განხორციელდება მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

2. შეთანხმდეს ზურაბ ნონიაშვილთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თანდართული პროექტი ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის შესაბამისად.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი